

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2016 წლის 15 ივლისი

დაბა თიანეთი

„თიანეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

შეტანილი იქნეს ცვლილება „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №54 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

თავი I

მუხლი 1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5 776,1	6 263,6	2 717,0	3 546,6	6 114,6	2 480,6	3 634,0
გადასახადები	260,5	125,6	0,0	125,6	230,0	0,0	230,0
გრანტები	5 252,0	5 754,5	2 717,0	3 037,5	5 670,6	2 480,6	3 190,0
სხვა შემოსავლები	263,6	383,5	0,0	383,5	214,0	0,0	214,0
ხარჯები	3 677,7	5 015,5	1 601,9	3 413,5	5 442,0	1 792,1	3 649,9
შრომის ანაზღაურება	1 256,7	1 069,2	0,0	1 069,2	1 074,7	0,0	1 074,7
საქონელი და მომსახურება	656,7	731,5	107,2	624,3	795,0	194,8	600,2
სუბსიდიები	1 110,2	1 425,2	0,0	1 425,2	1 757,4	0,0	1 757,4
გრანტები	0,0	137,9	0,0	137,9	14,0	0,0	14,0
სოციალური	95,5	131,5	0,0	131,5	116,8	0,0	116,8



უზრუნველყოფა							
სხვა ხარჯები	558,6	1 520,2	1 494,7	25,4	1 684,1	1 597,3	86,8
საოპერაციო სალდო	2 098,4	1 248,2	1 115,1	133,1	672,6	688,5	-15,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 608,0	1 353,0	1 179,9	173,1	1 294,2	1 101,3	193,0
ზრდა	1 615,2	1 372,6	1 179,9	192,7	1 294,2	1 101,3	193,0
კლება	7,2	19,6	0,0	19,6	0,0	0,0	0,0
მთლიანი სალდო	490,4	-104,8	-64,7	-40,1	-621,6	-412,8	-208,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	490,4	-107,7	-66,0	-41,7	-626,3	-412,8	-213,6
ზრდა	490,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	490,4	0,0			0,0		
კლება	0,0	107,7	66,0	41,7	626,3	412,8	213,6
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	107,7	66,0	41,7	626,3	412,8	213,6
ვალდებულებების ცვლილება	0,0	-2,9	-1,3	-1,6	-4,8	0,0	-4,8
კლება	0,0	2,9	1,3	1,6	4,8	0,0	4,8
საშინაო	0,0	2,9	1,3	1,6	4,8	0,0	4,8
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	5,783,3	6,283,2	2,717,0	3,566,2	6,114,6	2,480,6	3,634,0
შემოსავლები	5,776,1	6,263,6	2,717,0	3,546,6	6,114,6	2,480,6	3,634,0
არაფინანსური აქტივების კლება	7,2	19,6	0,0	19,6	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	5,292,9	6,391,0	2,783,1	3,607,9	6,740,9	2,893,4	3,847,6
ხარჯები	3,677,7	5,015,5	1,601,9	3,413,5	5,442,0	1,792,1	3,649,9
არაფინანსური აქტივების	1,615,2	1,372,6	1,179,9	192,7	1,294,2	1,101,3	193,0



ზრდა							
ვალდებულებების კლება	0,0	2,9	1,3	1,6	4,8	0,0	4,8
ნაშთის ცვლილება	490,3	-107,7	-66,0	-41,7	-626,4	-412,8	-213,6

მუხლი 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6,114,6 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1	5 776,1	6 263,6	2 717,0	3 546,6	6,114,6	2,480,6	3 634,0
გადასახადები	11	260,5	125,6	0,0	125,6	230,0	0,0	230,0
გრანტები	13	5 252,0	5 754,5	2 717,0	3 037,5	5 670,6	2,480,6	3 190,0
სხვა შემოსავლები	14	263,6	383,5	0,0	383,5	214,0	0,0	214,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს თიანეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გადასახადები 230.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათას ლარებში

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	260,5	125,6	0,0	125,6	230,0	0,0	230,0
საშემოსავლო გადასახადი		0,0	0,0	0,0	0,0	80,0	0,0	80,0
ქონების გადასახადი	113	260,5	125,6	0,0	125,6	150,0	0,0	150,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	113111	205,8	67,5	0,0	67,5	122,0	0,0	122,0



(გარდა მიწისა)								
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	6,6	8,0	0,0	8,0	5,0	0,0	5,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	0,0	0,8	0,0	0,8	0,0	0,0	0,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	6,6	7,2	0,0	7,2	5,0	0,0	5,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	29,5	19,2	0,0	19,2	11,0	0,0	11,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	9,2	8,6	0,0	8,6	5,0	0,0	5,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	20,3	10,6	0,0	10,6	6,0	0,0	6,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	18,6	30,9	0,0	30,9	12,0	0,0	12,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	4,5	6,4	0,0	6,4	4,0	0,0	4,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	14,1	24,5	0,0	24,5	8,0	0,0	8,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5,670,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	5 252,0	5 754,5	2 717,0	3 037,5	5,670,6	2,480,6	3 190,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	5 252,0	5 754,5	2 717,0	3 037,5	5,670,6	2,480,6	3 190,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	2 925,7	3 037,5	0,0	3 037,5	3 190,0	0,0	3 190,0
გათანაბრებითი ტრანსფერი		2 789,7	2 901,5	0,0	2 901,5	3 054,0	0,0	3 054,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების		136,0	136,0	0,0	136,0	136,0	0,0	136,0

განსახორციელებლად								
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	2 326,3	2 717,0	2 717,0	0,0	2,480,6	2,480,6	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა		1 834,0	2 234,6	2 234,6	0,0	2,038,5	2,038,5	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		492,2	482,4	482,4	0,0	442,1	442,1	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 214.0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	263,6	383,5	0,0	383,5	214,0	0,0	214,0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	183,6	233,0	0,0	233,0	162,0	0,0	162,0
პროცენტები	1411	9,5	2,9	0,0	2,9	0,0	0,0	0,0
რენტა	1415	174,1	230,1	0,0	230,1	162,0	0,0	162,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	154,7	228,8	0,0	228,8	150,0	0,0	150,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0,7	1,3	0,0	1,3	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	18,7	0,0	0,0	0,0	12,0	0,0	12,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	23,1	49,5	0,0	49,5	22,0	0,0	22,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	22,9	18,7	0,0	18,7	22,0	0,0	22,0



სანებართვო მოსაკრებელი	14223	0,8	0,5	0,0	0,5	1,0	0,0	1,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	21,9	18,2	0,0	18,2	21,0	0,0	21,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	0,2	30,8	0,0	30,8	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	0,2	30,8	0,0	30,8	0,0	0,0	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	42,3	31,4	0,0	31,4	30,0	0,0	30,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	14,7	69,6	0,0	69,6	0,0	0,0	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5,442,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3 677,7	5 015,5	1 601,9	3 413,5	5 442,0	1 792,1	3 649,9
შრომის ანაზღაურება	1 256,7	1 069,2	0,0	1 069,2	1 074,7	0,0	1 074,7
საქონელი და მომსახურება	656,7	731,5	107,2	624,3	795,0	194,8	600,2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	1 110,2	1 425,2	0,0	1 425,2	1 757,4	0,0	1 757,4
გრანტები	0,0	137,9	0,0	137,9	14,0	0,0	14,0
სოციალური უზრუნველყოფა	95,5	131,5	0,0	131,5	116,8	0,0	116,8
სხვა ხარჯები	558,6	1 520,2	1 494,7	25,4	1 684,1	1 597,3	86,8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1,294,2 ათასი ლარის



დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 608,0	1 353,0	1 179,9	173,1	1,294,2	1,101,3	193,0
ზრდა	1 615,2	1 372,6	1 179,9	192,7	1,294,2	1,101,3	193,0
კლება	7,2	19,6	0,0	19,6	0,0	0,0	0,0

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1,294,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	8,9	20,8	9,5
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	3,4	0,0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1.602,9	1,351,8	1,280,1
განათლება	0,0	0,0	1,0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0,0	0,0	3,6
სულ ჯამი	1.615.2	1,372,6	1,294,2

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	7,2	19,6	0,0
ძირითადი აქტივები	7,2	6,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	0,0	13,6	0,0



მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი				2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 426,6	1 458,6	0,0	1 458,6	1 566,3	0,0		1 566,3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 426,6	1 458,6	0,0	1 458,6	1 566,3	0,0		1 566,3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 426,6	1 458,6	0,0	1 458,6	1 546,3	0,0		1 546,3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	20,0	0,0		20,0
702	თავდაცვა	83,9	75,4	0,0	75,4	72,2	0,0		72,2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	147,8	144,1	0,0	144,1	0,0	0,0		0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	147,8	144,1	0,0	144,1	0,0	0,0		0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	946,1	531,0	394,6	136,4	773,0	645,7		127,3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	270,1	122,4	65,5	56,9	0,0	0,0		0,0



70421	სოფლის მეურნეობა	270,1	122,4	65,5	56,9	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	604,1	333,8	329,1	4,7	699,7	645,7	54,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	604,1	333,8	329,1	4,7	699,7	645,7	54,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	71,9	74,8	0,0	74,8	73,3	0,0	73,3
705	გარემოს დაცვა	652,2	835,4	624,4	211,0	121,9	121,9	0,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	177,7	208,9	0,0	208,9	117,4	117,4	0,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	474,5	626,4	624,4	2,0	4,5	4,5	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	881,8	1 963,4	1 762,8	200,6	2 719,2	2 121,0	598,2
7061	ბინათმშენებლობა	110,1	159,3	44,7	114,6	860,0	806,7	53,3
7063	წყალმომარაგება	233,7	897,8	848,2	49,5	883,3	738,3	145,1
7064	გარე განათება	13,5	20,3	0,3	20,1	19,3	2,3	17,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	524,5	886,0	869,6	16,4	956,6	573,8	382,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	52,7	61,9	0,0	61,9	61,9	0,0	61,9
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	52,7	61,9	0,0	61,9	61,9	0,0	61,9
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	554,7	704,3	0,0	704,3	738,0	0,0	738,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	118,1	106,7	0,0	106,7	152,7	0,0	152,7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	436,6	597,6	0,0	597,6	585,3	0,0	585,3



709	განათლება	445,0	489,7	0,0	489,7	515,8	4,8	511,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	425,0	486,0	0,0	486,0	511,0	0,0	511,0
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,2	0,0	0,2	4,8	4,8	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,2	0,0	0,2	4,8	4,8	0,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	20,0	3,5	0,0	3,5	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	136,3	168,7	0,0	168,7	168,0	0,0	168,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	12,0	17,0	0,0	17,0	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	73,6	100,0	0,0	100,0	110,0	0,0	110,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	50,7	51,7	0,0	51,7	58,0	0,0	58,0
	სულ	5 327,0	6 432,5	2 781,8	3 650,7	6 736,2	2 893,4	3 842,8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -621,6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -626,4 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -4,8 ათ ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 20,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1.დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 136,0 ათასი ლარი, მიიღმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61.9 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 72,1 ათასი ლარი;



გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.0 ათასი ლარი;

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე 2016 წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 72,2 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით თიანეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 72,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 03)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თიანეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა მობილიზება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 3,314,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეკონსტრუქციასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების, აგრეთვე, კეთილმოწყობის ღონისძიებების და ადგილობრივი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფის დაფინანსება.

ა) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -1,884,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის ხარჯი; წყლის სისტემის არსებული ქსელის მოვლა-შენახვასა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დადგენილი სტანდარტების სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციის ღონისძიებები.

ა.ა) გარე განათების დაფინანსება - 19,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი..

ა.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 766,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება წყლის სისტემების მოწყობა, მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

ა.გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია 860,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შენობების, კერძოდ საბავშვო ბაღების და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია.

ა.დ) ა(ა)იპ „თიანეთის წყალი“ 117,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დადგენილი სტანდარტების და ხარისხის სასმელი წყლის მიწოდება, მათთვის საჭირო ინფორმაციითა და ხელსაყრელი პირობებით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე წყალსადენის სისტემების მოვლა-შენახვა, აღდგენითი და სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება.

ა.ე) დასუფთავების ღონისძიებები - 117,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)



მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაბის სანიაღვრე არხების გაწმენდა, ზამთრის სეზონზე დიდთოვლობის დროს დაბა თიანეთსა და დაბა სიონის გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.

ა.ვ) სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა 4,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.

ბ) ადგილობრივი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა -73,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ ფასებში გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირება, რომელიც მნიშვნელოვნად გაუადვილებს და ეკონომიკურ მდგომარეობას შეუმსუბუქებს მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელთაც ხშირად უწევთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილება.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები -107,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 0304)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებული გზების, სკვერების, ბაღების და პარკების მოწყობა, მოვლა-შენახვა.

გ.ა) დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა 8,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030401)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების, ბაღების, დასასვენებელი პარკების მოწყობა.

გ.ბ) ტრანსპორტის შეძენა 98,9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 030402)

ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტში შიდა გზების მოვლა-პატრონობისათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა;

გ.გ) ეზოებში სტადიონების მოწყობის ხარჯი - 0.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 030403)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტში არსებული სტადიონების მოვლა-შენახვა და კეთილმოწყობა.

დ) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება -275,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0307)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ თიანეთის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება, რომლის ფუნქციონირების მიზანს წარმოადგენს:

- თიანეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების, ქუჩების, სანიტარული დასუფთავების ორგანიზება, მოსახლეობის საბინაო კომუნალური მომსახურების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის უზრუნველყოფა, ასევე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება;

- მუნიციპალიტეტის შიდა სარგებლობის, მუნიციპალური დანიშნულების გზებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობა, შეკეთება და ექსპლოატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება;

- ხიდების, ბოგირების, მდინარეთა ჯებირებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა შეკეთებისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

- გარე განათების სისტემის მოწყობა-ექსპლოატაცია;

- გამწვანებითი სამუშაოების წარმოება, სკვერების, პარკების მოწყობა და მოვლა დასუფთავება;

- ქუჩების და ტროტუარების თოვლისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა;

- ქარსაცავი ზოლების და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში კერძო საკუთრების გარეთ მდებარე ხეების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე დაზიანებული, ექსპლოატაციისათვის უვარგის და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა და ახლით ჩანაცვლება;

- სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება;

- პროგრამის ფარგლებში ფინანსდება აგრეთვე ა(ა)იპ თიანეთის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ადმინისტრაციული ხარჯები;

დ.ა) ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება 108.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030701)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ თიანეთის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ადმინისტრაციული ხარჯები.

დ.ბ) დასუფთავების და ნარჩენების უტილიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა -138,5 ათასი ლარი.



(პროგრამული კოდი 030702)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება თიანეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების, ქუჩების, სკვერების სანიტარული დასუფთავების ორგანიზება, მოსახლეობის საბინაო კომუნალური მომსახურების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავება;

დ.გ) შიდა გზების, ხიდების, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია - 10,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030703)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის შიდა სარგებლობის, მუნიციპალური დანიშნულების, შიდა სასოფლო და სოფლებს შორისი გზებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობის, შეკეთების და ექსპლოატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის, ქუჩების და ტროტუარების თოვლისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა; ასევე ხიდების, ბოგიერების, მდინარეთა ჯებირებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა შეკეთებისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსება;

დ.დ) გარე განათების სისტემის მოწყობა-ექსპლოატაცია -7,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030704)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის მოწყობა, მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციის ღონისძიებები;

დ.ე) კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება -4,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030705)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება გამწვანებითი სამუშაოების წარმოება, სკვერების, პარკების მოწყობა, მუნიციპალიტეტის შესასვლელების მოწესრგება და კეთილმოწყობა, ქარსაცავი ზოლების და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში კერძო საკუთრების გარეთ მდებარე ხეების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე დაზიანებული, ექსპლოატაციისათვის უვარგისი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა და ახლით ჩანაცვლება;

დ.ვ) სასფლაოების მოვლა-პატრონობა -7,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030706)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

ე) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა -699,7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტში გზების და ხიდების მშენებლობა და მოვლა-შენახვა.

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები -474,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 0305)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის სისტემების, გამანაწილებელი ქსელის და სათავე-ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია, სოფლების შიდა და დამაკავშირებელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სასაფლაოების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების შემოღობვა, სარიტუალო შენობების აშენება- რეაბილიტაცია, სარიტუალო ინვენტარის და ტექნიკის შეძენა,

ზ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 98,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 0306)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2015 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი გზების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოების და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

3. განათლება- 515,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება,

ა) სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა- 511,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს თხუთმეტი საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 360 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს,

ბ) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია - 4,8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 02).

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 739,1 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით



გასატარებელ ღონისძიებებს. რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 152,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

